აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 19

11 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი ლევან გაბრიჩიძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დღის წესრიგში შეტანილი უნდა იქნას ცვლილება, ვინაიდან უმაღლეს საარჩევნო კომისიაში (09.10. 2008 წ.) შემოსულია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით №79 ბათუმის ოლქში შემავალი უბნების მსგავსად ვიდეოთვალის განთავსება მოხდეს ქედის, შუახევის, ქობულეთის, ხელვაჩაურის და ხულოს საარჩევო ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზეც.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის ცვლილებით დამტკიცებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტისა და ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
საარჩევო ბიულეტენის შევსების წესის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის ფორმის დამტკიცების თაობაზე;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

5. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

6. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის კენჭისყრის დღის პროცედურის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია)

7. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 23 სექტემბრის №59 განკარგულების დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

8. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადების განხილვა.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტისა და ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტისა და ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო ბიულეტენების ფორმას, ბიულეტენების ტექსტებს და ამ კანონით განუსაზღვრელი, მაგრამ არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა საარჩევნო ბიულეტენების ფორმები: კერძოდ საარჩევნო ბიულეტენი, პროპორციული ბიულეტენის ბლოკნოტი, მაჟორიტარული ბიულეტენის ბლოკნოტი, საარჩევნო

ბიულეტენი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქისათვის, საარჩევნო ბიულეტენი №80 ქედის საარჩევნო ოლქისათვის, საარჩევნო ბიულეტენი №81 ქედის ქობულეთის საარჩევნო ოლქისათვის, საარჩევნო ბიულეტენი №82 შუახევის საარჩევნო ოლქისათვის, საარჩევნო ბიულეტენი №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქისათვის და საარჩევნო ბიულეტენი №84 ხულოს საარჩევნო ოლქისათვის. ისაუბრა აღნიშნული ფორმების შესახებ და განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ შარმანაშვილმა და გია გარსევანიშვილმა. კომისიის წევრმა გია გარსევანიშვილმა კომისიას შესთავაზა, რომ საარჩევნო ბიულეტენის ფორმაში შეტანილი (ნომერი „№“) კერძოდ: არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარი კანდიდატებისა და პარტიების რიგითი ნომრების წინ ამოღებული იქნას „№“-ის ნიშანი.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის შენიშნვის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრაში ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო ბიულეტენების ფორმა და ტექსტი თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საარჩევნო ბიულეტენი (ფორმა №2-07.46.01);

ბ) პროპორციული ბიულეტენის ბლოკნოტი (ფორმა №2-07.47.01);

გ) მაჟორიტარული ბიულეტენის ბლოკნოტი (ფორმა №2-07.48.01);

დ) საარჩევნო ბიულეტენი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქისათვის (ფორმა №2-07.49.01);

ე) საარჩევნო ბიულეტენი №80 ქედის საარჩევნო ოლქისათვის (ფორმა №2-07.50.01);

ვ) საარჩევნო ბიულეტენი №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქისათვის (ფორმა №2-07.51.01);

ზ) საარჩევნო ბიულეტენი №82 შუახევის საარჩევნო ოლქისათვის (ფორმა №2-07.52.01);

თ) საარჩევნო ბიულეტენი №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქისათვის (ფორმა №2-07.53.01);

ი) საარჩევნო ბიულეტენი №84 ხულოს საარჩევნო ოლქისათვის (ფორმა №2-07.54.01).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება
საარჩევო ბიულეტენის შევსების წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა საარჩევო ბიულეტენის შევსების წესის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად უსკო-ს მიერ დადგენილი უნდა იქნას საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი, რომელიც კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას, რის შემდეგაც კომისიას წარუდგინა საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის ფორმა, ისაუბრა აღნიშნული ფორმის საჭიროებაზე ამომრჩევლებისათვის ხმის მიცემის დროს. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, ,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების ბიულეტენების შევსების წესი თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, ,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების ბიულეტენების შევსების წესი თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს თანახმად ბიულეტენების ბეჭდვის პროცესის დაკვირვების უფლება აქვთ უსკოს განკარგულებით დანიშნულ კომისიის 2 წევრს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 03 ნოემბრის არჩევნებისათვის უსკო-ს მიერ რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთახმების საფუძველზე ბიულეტენის ბეჭდვის პროცესში წარმოადგენენ არა უმეტეს სამ დამკვირვებელს. ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო ბიულეტენის დაბეჭდვა უნდა მოხდეს ქ. თბილისში, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს და სხდომაზე დამსწრე დამკვირვებელ ორგანიზაციებს, თუ ვინ გამოთქვამდა ინიციატივას ბიულეტენის ბეჭდვის პროცესზე დაკვირვებისა და რომელი ორგანიზაციის წარმომადგენლები დააკვირდებოდენ აღნიშნულ პროცესს

აზრი გამოთქვეს: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებ“-ის წარმომადგენელმა მადონა ბერიძემ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებ“-ის წარმომადგენელმა მადონა ბერიძემ აღნიშნა, რომ მათი სადამკვირვებლო ორგანიზაცია ფიქრობდა, რომ ბიულეტენის დაბეჭდვა მოხდებოდა ქ.

ბათუმში, და იქიდან გამომდინარე რომ ეს პროცესი უნდა მოხდეს თბილისში, ჯერ არ ყავს შერჩეული კონკრეტული წარმომადგენლები, რომლებიც დააკვირდებიან აღნიშნულ პროცესს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ვერ მოხერხდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლების არჩევა თუ ვინ დააკვირდებოდა საარჩევნო ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს აღნიშნული საკითხის განხილვა გადადებულიყო მომდევნო სხდომისათვის.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის ფორმის დამტკიცების თაობაზე;

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. ასევე აღნიშნა, რომ არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით მიზანშეწონილია უსკო-ს მიერ დამტკიცებული იქნას კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი, სადაც ასახულია ყველა ის საკითხი, რაც ესაჭიროებათ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს კენჭისყრის დღეს, რის შემდეგაც მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის ფორმა. ისაუბრა წარმოდგენილი ფორმის შესახებ, მისი შევსების წესებსა და პირობებზე. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის დამტკიცდეს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის ფორმა დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შემდეგი ფორმები: საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი

(პროპორციული) სადემონსტრაციო ოქმის ფორმა, საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) სადემონსტრაციო ოქმის ფორმა, საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) ოქმის ფორმა, საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) ოქმის ფორმა, საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის და საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის ფორმები. ისაუბრა წარმოდგენილი ფორმების შესახებ, მათი შევსების წესებსა და პირობებზე. ასევე აღნიშნა, რომ ოლქის მიერ შედგენილ შემაჯამებელ ოქმში ყოველგვარი შესწორება საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად იწვევს ჯარიმას. აღნიშნული სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით, უსკო-ს მიერ სხვა ფორმებთან ერთად, დამტკიცებული იქნა შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი, როგორც პროპორციულ, ასევე მაჟორიტარულ ოქმებზე. კერძოდ, ოლქის მიერ შემაჯამებელ ოქმში დაშვებული შეცდომისას მათ უნდა შეადგინონ შესწორების ოქმი, სადაც დააფიქსირებენ იმ მონაცემებს, რაც მათ მიერ არასწორედ იქნა შედგენილი. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“

ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) ოქმი (ფორმა №1-07.55.02);
ბ) საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) ოქმი (ფორმა №1-07.56.02);
გ) საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა №1-07.57.02);
დ) საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა №1-07.58.02);
ე) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციული შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი (ფორმა №1-07.59.02);

ვ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი (ფორმა №1-07.60.02).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის კენჭისყრის დღის პროცედურის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა, ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის კენჭისყრის დღის პროცედურის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით მიზანშეწონილია უსკოს მიერ დამტკიცებულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის კენჭისყრის დღის პროცედურების ინსტრუქცია, სადაც ასახულია

ყველა ის საკითხი, რაც ესაჭიროება საარჩევო უბნის თითოეულ წევრს არჩევნების ორგანიზებულად ჩასატარებლად. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოცემული ინსტრუქციით მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე განსახორციელებელი პროცედურები, თუ როგორ უნდა მოხდეს კენჭისყრის პროცედურებისათვის საჭირო მასალების გადაცემა კომისიის წევრებისათვის, გადასატანი ყუთის საშუალებით ხმის მიცემა, უბნის დახურვა, სარჩევნო ყუთის გახსნა, ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამება და ა.შ. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის კენჭისყრის დღის პროცედურების ინსტრუქცია, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

7. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 23 სექტემბრის №59 განკარგულების დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 23 სექტემბრის №59 განკარგულების დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უსკოს მიერ 2008 წლის 23 სექტემბრის №59 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ დამტკიცებულ საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) სადემონსტრაციო ოქმში, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) სადემონსტრაციო ოქმში, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) ოქმში და საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) ოქმების ფორმებში საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები არის 1-დან 10-მდე. იქიდან გამომდინარე, რომ უსკოს მიერ საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრები განსაზღვრული და არჩევნებში მონაწილეობას იღებს მხოლოდ 8 პოლიტიკური გაერთიანება მოხდეს მე-8 და მე-9 ნომრის ამოღება და ოქმის ფორმაში აღნიშნული იყო მხოლოდ ის ნომრები, რომლებიც უსკოს მიერ განსაზღვრული იქნა საარჩევნო სუბიექტებისათვის.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე	12;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 23 სექტემბრის №59 განკარგულებით დამტკიცებულ ,,ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პირველი პუნქტის ,,ა", ,,ბ", ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტები დამტკიცებულ: - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) სადემონსტრაციო ოქმის (ფორმა 1-07.30.01), საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) სადემონსტრაციო ოქმის (ფორმა 1-07.31.01), საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) ოქმის (ფორმა 1-07.32.01), საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) ოქმის (ფორმა 1-07.33.01) ფორმებში შეტანილი იქნას ცვლილებები და ჩამოყალიბდეს თანდართული ნიმუშების მიხედვით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" და ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" განცხადების განხილვა

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ..სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" და ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" განცხადება და აღნიშნა, რომ ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ..საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" განცხადებით ითხოვს უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით №79 ბათუმის ოლქში შემავალი უბნების მსგავსად ვიდეოთვალის განთავსება მოხდეს ქედის, შუახევის,

ქობულეთის, ხელვაჩაურის და ხულოს საარჩევო ოლქებში შემავალ უბნებზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა - თამაზ შარმანაშვილმა, გია გარსევანიშვილმა, ქეთევან ჯიქიამ, დავით რობაქიძემ, ასლან ჩავლეიშვილმა და ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებ''-ის წარმომადგენელმა მადონა ბერიძემ. თამაზ შარმანაშვილმა, გია გარსევანიშვილმა და ქეთევან ჯიქიამ აღნიშნეს, რომ ვიდეოთვალის განთავსება საარჩევნო ოლქებში შემავალ უბნებზე როგორც ტექნიკურად, ისე ფინანსურად, შესაძლოა ვერ მოხერხდეს. ასევე კომისიის წევრმა ასლან ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლოა ამ რაოდენობის ვიდეოთვალის მოძიება ვერ მოხერხდეს, მაშინ როდესაც ერთ უბანზე უნდა დამონტაჟდეს ორი ვიდეოთვალი. კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ აღნიშნა, რომ ვიდეოთვალის განთავსება დამატებით სხვა ოლქებში შემავალ უბნებზე ფინანსურად თუ შესაძლებელია და თუ უსკო-ს გააჩნია აღნიშნული თანხები, დაკმაყოფილებული იქნას დამკვირვებლი ორგანიზაციების განცხადება. გარდა ამისა ასევე აღნიშნა, რომ უნდა შეიქმნას მინიმუმ ექვსკაციანი ჯგუფი, რომლებიც აღნიშნული საქმის პროფესიონალები არიან და შეძლებენ ვიდეოთვალის დამონტაჟებას თითოეულ უბანზე. ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებ''-ის წარმომადგენელმა მადონა ბერიძემ კი აღნიშნა, რომ არჩევნების გამჭვირვალეობის მიზნით, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, ვიდეოთვალი განთავსებული ყოფილიყო უსკოს მიერ შექმნილ ყველა ოლქის უბნებზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე მოსაძიებელია შესაბამისი ინფორმაცია, დაევალოს იურიდიულ, საორგანიზაციო და ეკონომიკურ სამსახურებს მოიძიონ და მოგვაწოდონ მომდევნო სხდომისათვის შესაბამისი ინფორმაცია, რამდენად შესაძლებელია ტექნიკურად და ფინანსურად ყველა ოლქის უბნებზე ვიდეოთვალის განთავსება და აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კომისია იმსჯელებს მომდევნო სხდომაზე.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია